II

ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

2011

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ბუკლეტი და ამ ტესტის პასუხების ფურცელი.

გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!
პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!
ტესტის ბუკლეტი შეგიძლიათ გამოიყენოთ მხოლოდ შავი სამუშაოსათვის!

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტი სამი ნაწილისაგან შედგება: I. ქართული ენა; II. ქართული ლიტერატურა; III. წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება.

დავალებების ერთი ნაწილის შესასრულებლად საჭიროა პასუხების ფურცელში შესაბამისი უჯრედი მონიშნოთ **X-ით**. თუ პასუხების ფურცელში უჯრედი შეცდომით მონიშნეთ, მაშინ მთლიანად გააშავეთ იგი და მონიშნეთ სხვა უჯრედი.

დანარჩენ დავალებებს უნდა უპასუხოთ სიტყვიერად. პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა შეგიძლიათ გადახაზოთ და გვერდით (ან ზემოთ) დაწეროთ სხვა პასუხი.

I და II ნაწილების შესასრულებლად აუცილებელი ინსტრუქციები მოცემულია ტესტის ბუკლეტში და თან ახლავს შესაბამის დავალებებს.
ყურადღებით გაეცანით ამ ინსტრუქციებს და არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელში!

ტესტის III ნაწილი - წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება - ორი დავალებისაგან შედგება.
უნდა აირჩიოთ **ერთ-ერთი მათგანი** (ან N1 ან N2) და უნდა შეასრულოთ ამ დავალებაში მოცემული: **ა) წაკითხულის გააზრებაც** და **ბ) წერითი დავალებაც**.
შეგიძლიათ წაკითხულის გააზრების ყველა პასუხი ჯერ ტესტის ბუკლეტში მონიშნოთ და შემდეგ გადაიტანოთ პასუხების ფურცლის სათანადო ადგილას.
წერითი დავალების შავი ვარიანტის დასაწერად ტესტის ბუკლეტში საგანგებოდ გამოყოფილია რამდენიმე გვერდი.

გახსოვდეთ: აუცილებელია ყველა პასუხის გადატანა პასუხების ფურცელში!
გაითვალისწინეთ, არ გასწორდება ის დავალება, რომლის პასუხიც პასუხების ფურცელში საგანგებოდ ამ დავალებისათვის გამოყოფილ ადგილას არ იქნება გადატანილი!
<u>არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი</u> და არც პიროვნების იდენტიფიცირების სხვა საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში **ნაშრომი არ გასწორდება!**

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

I. ქართული ენა

(4) **1. კონტექსტის გათვალისწინებით შეარჩიეთ, ჩამოთვლილთაგან რომელია ტექსტში ხაზგასმული სიტყვების შესაფერისი ანტონიმები.**

ა) ბევრი. ბ) დაბალი. გ) დიდი. დ) მრავალი. ე) მოკლე. ვ) მშრალი. ზ) სხვაგვარი. თ) სხვადასხვა. ი) ურიცხვი. კ) ხმელი.

დედამიწის ერთი მეოთხედი მდელოებს უჭირავს, რადგან ბალახი თითქმის ყოველგვარ პირობებში იზრდება. (1)<u>მაღალი</u> მცენარეები და (2)<u>ერთნაირი</u> ჯიშის ბალახი იქაც ხარობს, სადაც დიდი ხეები არ გვხვდება. (3)<u>ტენიანი</u> სეზონის დადგომისას საჭიროა მცენარეებს (4)<u>მცირე</u> რაოდენობის წყალი ჰქონდეთ დაგროვილი, რათა გვალვის დროს ეს მარაგი გამოიყენონ.

თქვენ მიერ შერჩეული პასუხები ხაზგასმული სიტყვების **შესაბამისი ნომრების გასწვრივ** მოცემულ უჯრედებში აღნიშნეთ X-ით.

	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ	ი	კ
1.	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
2.	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
3.	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
4.	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐

(7) **2.**

ტექსტში დაშვებულია მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული და სინტაქსური შეცდომები. რამდენიმე წინადადებაში თითო-თითო შეცდომაა, რამდენიმე წინადადება კი უშეცდომოა.

თუ წინადადებაში შეცდომაა დაშვებული, აღნიშვნა **X** გააკეთეთ პირველი რიგის შესაბამის უჯრედში, ხოლო თუ წინადადებაში შეცდომა არაა, აღნიშვნა **X** გააკეთეთ მეორე რიგის შესაბამის უჯრედში.

	I შეცდ.	**II** უშეცდ.
1. ასტრონომიამ დიდ წარმატებებს მიაღწია შუა აზიის ისეთ უმნიშვნელოვანეს კულტურულ ცენტრებში, როგორებიცაა: ბუხარა, მერვი და სამარყანდი.	☐	☐
2. აქ მოღვაწე მოაზროვნეთა მიერ გამოითქვა ზოგიერთი ისეთი შეხედულება, რაც შემდგომში დადასტურდა კიდეც.	☐	☐
3. სამარყანდის მმართველი ულუღ-ბეგი დაუღალავად ზრუნავდა თავის ქვეყანაში მეცნიერების განვითარებისათვის.	☐	☐
4. მან სამარყანდში ააგებია გრანდიოზული ობსერვატორია, რომელიც აღჭურვილი იყო იმ დროისათვის საუკეთესო ხელსაწყოებით.	☐	☐
5. ტელესკოპი ჯერ არ არსებობდა და ასტრონომები ცაზე მნათობთა მდებარეობასა და მათ შორის მანძილებს კუთხის საზომი ხელსაწყოს გამოყენებით ადგენდნენ.	☐	☐
6. აქ შედგენილი კატალოგი, რომელშიც 1018 ვარსკვლავის მდებარეობა იყო აღნიშნული, მრავალ წლის განმავლობაში საუკეთესო კატალოგად ითვლებოდა.	☐	☐
7. ფანატიკოსებს ძულდათ თავისუფლად მოაზროვნე მეცნიერების მფარველი ულუღ-ბეგი, ამიტომაც იგი მოკლეს, ხოლო ობსერვატორია მიწასთან გაასწორეს.	☐	☐

(14) **3.** ტექსტში დაშვებულია **13** მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომა და სტილისტური ხარვეზი. ***გაასწორეთ*** ეს შეცდომები და ხარვეზები და გადაწერეთ ტექსტი ისე, რომ მასში ***არც ერთი სხვა ცვლილება*** არ შეიტანოთ.

დავალების მაქსიმალური შეფასებაა 14 ქულა. ***გაითვალისწინეთ,*** ქულები დაგაკლდებათ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თითოეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო.

ალექსანდრეს ბაღის ტერიტორიაზე ბევრი ხნის განმავლობაში ყაბახი იყო. მე-19 საუკუნის 40-ან წლებში აქ სამხედრო ობიექტი განათავსეს, მოგვიანებით კი ამ ადგილას ბაღის გაშენება გადაწყდა.

1865 წელს თბილისში საზეიმოდ გაიხსნა პირველი საზოგადოებრივი ბაღი, რომელსაც ალექსანდრეს სახელი უწოდეს. ბაღი გაშენდა არქიტექტორი ოტო სიმონსონის პროექტით. სიმონსონი პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის აკადემიკოსი იყო. მისი დაპროექტებულია არაერთი შენობა, რომელიც დღესაც დგას და ამშვენებს ჩვენ დედაქალაქს. მარტო მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დასახელებაც საკმარისია, რადგან მისი დამსახურება წარმოვაჩინოთ. საგანგებოთ ბაღისათვის დაპროექტებული საგამოფენო პავილიონები, რესტორანი, შადრევანები განსაკუთრებულ ელფერს ძენდა მას. ის როგორც ევროპული ყაიდის ბაღი რეგულარული დაგეგმარებისა იყო და მანამდე არსებულ თავ-შეყრის ადგილებს არ გავდა.

(15) **4.** იმსჯელეთ <u>გარემოს დაბინძურების</u> პრობლემის შესახებ შემდეგი მითითებების მიხედვით:

- რამდენად აქტუალურია ეს პრობლემა;
- როგორია ჩვენი საზოგადოების დამოკიდებულება ამ პრობლემის მიმართ;
- რა წვლილი შეგიძლიათ შეიტანოთ პირადად თქვენ ამ პრობლემის მოგვარებაში.

შეარჩიეთ ტექსტის შესაბამისი სტილი. ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ტესტში გამოყოფილია ადგილი შავი სამუშაოსათვის, რომელიც არ სწორდება (სურვილის მიხედვით, შეგიძლიათ გამოიყენოთ ან არ გამოიყენოთ იგი).

გაითვალისწინეთ: *არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი და არც პიროვნების იდენტიფიცირების სხვა საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში ნაშრომი* ***არ გასწორდება!***

შავი სამუშაოსათვის

II. ქართული ლიტერატურა

(5) **5. გიორგი მერჩულის თხზულებაში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ვკითხულობთ:**

ხოლო ნეტარმან გრიგოლ ფარულად მოუწოდა ნეტარსა ეფრემს და ჰრქუა მას: „შვილო, პატივსა მაგის წმიდისა მღდელთმთავრობისასა გაფუცებ, ნუ უშლი სულიერად ძმასა შენსა არსენის“. ხოლო მან ჰრქუა: „წმიდაო მამაო, ვერ ეგების ძმათა ჩემთა ეპისკოპოსთა ცილობაი სამართლისათვის, და მეცა შემინდვე, რამეთუ არა ვარ ამიერითგან არსენის ცხოვარი და არცა იგი – ჩემი მწყემსი“. მაშინ წმიდამან მან მკსინვარედ ჰრქუა: „უკუეთუ ამას იქმ, ეფრემ, მე უვარ-მყავ, ვითა არა შენი მოძღუარი ვარ!“ ხოლო ნეტარი ეფრემ სიტყუასა მას ზედა სულიერისა მამისა და მოძღურისასა ატირდა და ჰრქუა: „ფიცხელ არს ბრძანებაი ესე, განმკუეთელ უფროის მახვილისა. აწ ნებაი შენი იყავნ და ნუ – ნებაი ჩემი, წმიდაო ღმრთისაო!“ ხოლო მან ჰრქუა: „ეფრემ სანატრელო, გისმინენ ქრისტემან, რაიცა ითხოო მისგან შენ, უმანკოო გულითა და წრფელო გონებითა. და შენ უწყი, ვითარ ღმერთსა ებრძანა კათალიკოსობაი არსენისი სისრულისა მისისათვის“.

1. *განმარტეთ,* რა მოსთხოვა გრიგოლმა ეფრემს?
2. *განმარტეთ,* რატომ არ დაეთანხმა ეფრემი მოძღვარს?
3. *ამოიწერეთ* სიტყვა, რომელიც გამოხატავს გრიგოლის ემოციურ რეაქციას ეფრემის პასუხზე.
4. *განმარტეთ,* რა უმძიმესი არჩევანის წინაშე დააყენა გრიგოლმა ეფრემი?
5. *განმარტეთ,* რა უნდა იცოდეს, გრიგოლის აზრით, ეფრემმა?

(5) **6. ნესტანი სწერს თავის მიჯნურს:**

„ჰე, ჩემო, ესე უსტარი არს ჩემგან მონაღვაწები,
ტანი კალმად მაქვს, კალამი ნავღელსა ამონაწები!
მე გული შენი ქაღალდად გულსავე ჩემსა ვაწები;
გულო, შავ-გულო, დაბმულხარ, ნუ აეხსნები, აწ ები!
ჰხედავცა, ჩემო, სოფელი რათა საქმეთა მქმნელია!
რაზომცა ნათობს სინათლე, ჩემთვის ეგრეცა ბნელია.

ბრძენნი იცნობენ, სწუნობენ მით, მათგან საწუნელია;
უშენოდ ჩემი სიცოცხლე, ვაჰმე, რა დიდი ძნელია!“

1. *ამოიწერეთ* პირველი სტროფიდან სტრიქონი, რომელშიც გადატანითი მნიშვნელობითაა ნათქვამი, რომ ნესტანი მთელი არსებით სევდითაა მოცული.
2. *დაასახელეთ,* ნესტანის თქმით, ქადალდის ნაცვლად, რაზე წერს იგი თავის უსტარს.
3. *განმარტეთ,* რას აბრალებს ნესტანი ტარიელისა და თავის უბედურებას.
4. *განმარტეთ,* რის საფუძველზე მიიჩნევენ „ბრძენნი“, რომ ამქვეყნიური ცხოვრება „საწუნელია“.
5. *განმარტეთ,* კონკრეტულად რა განაპირობებს ნესტანის მდგომარეობის ტრაგიზმს (უპასუხეთ მეორე სტროფის მიხედვით).

(5) **7. ილია ჭავჭავაძის მოთხრობაში „კაცია-ადამიანი?!“ ვკითხულობთ:**

რა იცოდნენ ამათ, რომ თავისის ქცევით, თავისის ცხოვრებით არისხებდნენ ღმერთსა, რომელსაც თავისი სული ამათთვის შთაუბერია. „ვაჲო! მე ვარისხებ ღმერთსაო? – გეტყოდათ გაოცებით ლუარსაბი, – წირვა-ლოცვას მე არ ვაკლდები, კაცი მე არ მამიკლავს და კაცისათვის მე არ მამიპარავს, – რაზედ ვარისხებ ღმერთსა?“ მართალი ხარ, ჩემო ლუარსაბ, მაგრამ ეხლა ეს უნდა გკითხო: რაც უნდა გექნა, ის კი გიქნია?.. წირვა-ლოცვას არ ვაკლდებიო. რა გამოვიდა? იქ ყოველთვის გსმენია ჩვენთვის ჯვარცმულის ქრისტეს სიტყვა: „ვითა მამა ზეცისა იყავ შენ სრულიო“. აბა, ან ერთს წამს შენს სიცოცხლეში მაგისთვის სცდილხარ? არა, შენ მაგისათვის არა სცხოვრობ: შენ სცხოვრობ – რომ სვა და სჭამო, და არა იმისთვის სჭამ და სვამ – რომ იცხოვრო, ესე იგი ეცადო – რომ ვითა მამა ზეცის იყო შენც სრული.

1. *ამოიწერეთ* ორი სიტყვა, რომლებშიც იგულისხმება, რომ ლუარსაბ თათქარიძე და მისი მსგავსი ადამიანები უზნეოდ ცხოვრობდნენ.
2. *განმარტეთ,* რატომ მიიჩნევს ლუარსაბი, რომ ზნეობრივად ცხოვრობს.
3. *განმარტეთ,* რაში მდგომარეობს, ავტორის აზრით, ადამიანის დანიშნულება.
4. *დაასახელეთ,* რას გულისხმობს ავტორი სიტყვაში „სრული“.
5. *განმარტეთ,* რა არის ლუარსაბ თათქარიძის ცხოვრების ძირითადი მიზანი.

(5) **8. პოემაში „გველის მჭამელი“ ვაჟა-ფშაველა აღწერს ფერისცვალებას, რომელიც განიცადა მინდიამ ქაჯთა საკვების გასინჯვის შემდეგ:**

შეიგნო სიბრძნე ქაჯების
ამიერიდამ ტყვემაო;
მას მუსაიფი დაუწყო
ცამ, დედამიწამ, ტყემაო.
მხოლოდ ბოროტმა მის გულში
ვერ მოიკიდა ფეხია...
მას აღარაფრის ეშინის,
თუნდ თავს დაატყდეს მეხია.
ქაჯნი ბრაზობენ, რა ჰხედვენ –
გამეცნიერდა გლეხია.
აღარ აშინებს ტყვეობა,
აღარც ხრიკები ქაჯური,
დღეს თუ ხვალ იმედიანობს,
ქაჯებს უჭიროს პანჩური.

1. *განმარტეთ,* კონკრეტულად რა სიბრძნე შეიძინა მინდიამ (ციტირება დაუშვებელია!).
2. *განმარტეთ,* რა ვერ შეცვალა მინდიას შინაგან სამყაროში ქაჯთა სიბრძნესთან ზიარებამ.
3. *დაასახელეთ,* სიბრძნის გარდა, რა თვისება შეიძინა მინდიამ.
4. *ამოიწერეთ* სტრიქონი, რომელშიც ვლინდება ქაჯთა აგდებული დამოკიდებულება მინდიას მიმართ.
5. *განმარტეთ,* რის იმედი გაუჩნდა მინდიას (ციტირება დაუშვებელია!).

(5) **9. ტიციან ტაბიძის ლექსში „მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე“ ვკითხულობთ:**

ვიცი, მომელის მაინც ეს ბედი,
და ისიც ვიცი, ჩემზე ახია,
ძვირფასო, არ ვარ, იცოდე, ყბედი,
ან თავის მოკვლა რა ტრაბახია.
მაგრამ მიტაცებს ქარიშხალივით
ამ თვალუწვდენი ხრამების ფსკერი,
ვიცი, ქალი ხარ, ყველა ქალივით,
ვიცი, ამასაც ეჭვით უცქერი.

1. *განმარტეთ,* ლირიკული გმირის რა წინათგრძნობაზე მიგვანიშნებს პირველი სტრიქონი.
2. *ამოიწერეთ* სტრიქონი, რომელშიც ჩანს, რომ ლირიკული გმირის ბედი განაპირობა მისმა ცხოვრების წესმა.
3. *განმარტეთ,* ლირიკული გმირის რა გადაწყვეტილება ჩანს სტრიქონში: „ან თავის მოკვლა რა ტრაბახია“.
4. *დაასახელეთ,* რა მხატვრული საშუალებაა გამოყენებული მეხუთე სტრიქონში.
5. *განმარტეთ,* ლირიკული გმირის გადაწყვეტილების მიმართ სატრფოს რა დამოკიდებულება ჩანს ამ მონაკვეთში.

III. წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება

აირჩიეთ ორი დავალებიდან ერთ-ერთი და მხოლოდ ის შეასრულეთ!

დავალება № 1

ყურადღებით წაიკითხეთ ოთარ ჭილაძის ლექსი „სამრეკლოების მდუმარე ჩრდილში“, რომელიც ეძღვნება ფაშისტების მიერ მოკლული ესპანელი პოეტის, ფედერიკო გარსია ლორკას, ხსოვნას:

I. პირინეიზე, ესპანეთში, მზის ქვეყანაში,
ფორთოხლის ბაღში, შადრევნების
ვერცხლისფერ მტვერში,
არაფრისმცოდნე ბავშვების თვალწინ,
სამრეკლოების მდუმარე ჩრდილში –
მოკლეს პოეტი და მისი სისხლი
გაინაწილეს ციხის კედლებმა,
როგორც დროშები.
ხოლო ჯალათმა სახლში წაიღო
ცოდვილი ხელი.
და მიუტანა ცოლსა და შვილებს
პოეტის სისხლით ნაყიდი პური.

II. ტყუილად რეცხავ ჯალათის ცოლო!
არ მოშორდება შენს ღარიბ ჭურჭელს
სისხლის ლაქები.
მე მეცოდება შენი ქალობა,
შენი სხეულიც
და შენი სულიც – თავშესაფარი
ლაჩრის და მონის.
შესაცოდია, რა თქმა უნდა, თუკი არ
იცი, ვის ვნებას აცხრობ.
თუკი არ იცი, ვის უჩუმდები.
თუკი არ იცი, რომ ყოველ ღამე
გველი გეხვევა და არა მკლავი. თოკი
გეხვევა სახრჩობელების, –
ადამიანის ცრემლით და სისხლით
და ბოლო კვნესით დამძიმებული...

III. ტყუილად ბრაზობ ჯალათის შვილო,
როცა ტოლები გერიდებიან,
როგორც კეთროვანს.
ან როცა მათი შავი დედები თვალს
გაყოლებენ პირმოკუმულნი.
ან როცა შენი მასწავლებელი, ძლივს
შეკავებულ რისხვით და ზიზღით,
შენს გვარს და სახელს ისე
კითხულობს, როგორც მსაჯული...
მაგრამ ჯერ დროა,
რომ შენი სული გადაარჩინო
და ჭაობიდან გამოიტანო, როგორც
ყვავილი ჯერ გაუშლელი.

IV. ხედავთ, კედელთან
მიხვეტილ ძონძებს,
ბებერ მუშტივით
შეკუმშულს მტვერში?
ის წუხანდელი მსხვერპლის დედაა,
ციხის კედელთან დევს,
როგორც ნაღმი,
აფეთქებამდე გაუქმებული.
ის აქ იქნება, სანამ ამქვეყნად
იქნება ციხე...
სანამ ამქვეყნად იქნება თუნდაც
ერთი ფოთოლი,
მზის მოტრფიალე და მომღერალი.
ბიჭი, რომელიც ჯალათებმა
აწამეს წუხელ,
ფოთოლი იყო ფორთოხლის ხისა
და მისი ჩრდილი
ფარფატებდა ქვაფენილებზე
და შეყვარებულ გოგოს თვალებში...
ფოთოლი იყო ფორთოხლის ხისა,
მზის მოტრფიალე და მომღერალი.
და იმ ფოთოლზე სხდებოდნენ ხოლმე
ჭრელი ჩიტები და ვარსკვლავები...
მთვარეც ჯდებოდა, ღრუბელიც,
ქარიც, წვიმაც და თოვლიც...

V. ფორთოხლის ბაღში ტირის ირენე,
როგორც ტოტებში გაბმული სიმი.
და დონ კიხოტის გამხდარი ცხენი
გარინდებულა, როგორც ფიტული,
მზემოკიდებულ სამრეკლოს ჩრდილში
და გახურებულ საფლავებს შორის –
და პირინეის ნახევარკუნძულს
გრძნობს:
უსაშველოდ ნატკენ გულივით.
ძველი ცრემლია ირენეს ცრემლი,
ბევრი პოეტი და მატადორი
გამოიტირა ირენეს ცრემლმა,
ბევრი პოეტი და მატადორი,
მოულოდნელად დამარცხებული
ჯალათის ხელით თუ ხარის რქებით.
მატადორებად და პოეტებად
გაიზრდებიან მისი შვილებიც,
ოღონდ ირენეს მომავალ შვილებს
ნუ გამოჰყვებათ მამების ბედი.
ირენეს დებო და დობილებო,
შემოიხიეთ შავი კაბები
და აუხვიეთ ხარებს თვალები
და შეუკარით ჯალათებს ხელი...
მატადორები გვანან პოეტებს,
მაგრამ ისინი სხვის დასანახად
და მოსახიბლად კვდებიან მაინც.
ხოლო პოეტის მხურვალე სისხლი
სამარადისოდ გადადის ხალხში.

ა) წაკითხულის გააზრება:

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X.**

უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

(1) **10. *რა* მიზნით აღწერს ავტორი ლექსის დასაწყისში ფორთოხლის ბაღის სილამაზეს?**
ა) ესპანეთის ლამაზი ბუნების მიმართ სიყვარულის გამოხატვის მიზნით.
ბ) ესპანეთის უმშვენიერესი ბუნებისა და არქიტექტურის ჩვენების მიზნით.
გ) პოეტის მკვლელობით გამოწვეული ტრაგიკული განცდის გაძლიერების მიზნით.
დ) პოეტის მკვლელობის ჩვეულებრივ, ყოფით ფაქტად ჩვენების მიზნით.

(1) **11. *რის* გამოსახატავად დასჭირდა ავტორს სიტყვები:** „პოეტის სისხლით ნაყიდი პური“.
ა) მკვლელი „არაფრისმცოდნე ბავშვების თვალწინ“ სჩადის ცოდვას.
ბ) მკვლელი გასამრჯელოს ცოდვის ჩადენის სანაცვლოდ იღებს.
გ) მკვლელი ვერ ეგუება „სისხლით ნაყიდი პურის“ ჭამას.
დ) მკვლელი ცოლსა და შვილებს ცოდვილი ხელით ეხება.

(1) **12. *რა* იგულისხმება სიტყვებში:** „ტყუილად რეცხავ... შენს ღარიბ ჭურჭელს“.
ა) ჩადენილი ცოდვის გამოსყიდვა შესაძლებელია.
ბ) ჩადენილი ცოდვის პატიება შეუძლებელია.
გ) ჯალათის ცოლი მდუმარედ ეგუება ბედს.
დ) ჯალათის ცოლი ჭურჭელს სისხლს აშორებს.

(1) **13. *რა* მხატვრული საშუალებაა:** „თოკი გეხვევა სახრჩობელების“.
ა) ეპითეტი.
ბ) მეტაფორა.
გ) შედარება.
დ) ჰიპერბოლა.

(1) **14. *რის* იმედს უტოვებს ავტორი ბავშვს III სტროფში?**
ა) მსაჯულის ლმობიერების.
ბ) მასწავლებლის თანადგომის.
გ) სულის ხსნის.
დ) ტოლების სიყვარულის.

(1) **15. *რას* გულისხმობს ავტორი სიტყვებში:** „ის აქ იქნება, სანამ ამქვეყნად იქნება ციხე...“
ა) მსხვერპლის დედა ბოლოს და ბოლოს დაივიწყებს ჯალათის მიერ ჩადენილ ცოდვას.
ბ) მსხვერპლის დედა მუდამ გაახსენებს ჯალათს ჩადენილი ცოდვის სიმძიმეს.

გ) მსხვერპლის დედას მუდამ ემახსოვრება „მოტრფიალე და მომღერალი ფოთოლი“.
დ) მსხვერპლის დედას ყველაფერზე უფრო მეტად ციხის კედლების ეშინია.

(1) **16. *რას* გულისხმობს ავტორი სიტყვებში:** „ძველი ცრემლია ირენეს ცრემლი“.
ა) ესპანელი ქალები მხოლოდ პოეტებსა და მატადორებს გლოვობდნენ.
ბ) ესპანელი ქალები საკუთარ ქმრებსა და სატრფოებს მუდამ გლოვობდნენ.
გ) ესპანელი ქალები საკუთარ ქმრებს „სამრეკლოს ჩრდილში“ გლოვობდნენ.
დ) ესპანელი ქალების გლოვა უნუგეშო და სულისშემძვრელი იყო.

(1) **17. *რას* გულისხმობს ავტორი სიტყვებში:** „...და აუხვიეთ ხარებს თვალები და შეუკარით ჯალათებს ხელი...“
ა) მატადორები სხვის დასანახავად არ უნდა კვდებოდნენ.
ბ) მსგავსი ტრაგედია მომავალში აღარ უნდა განმეორდეს.
გ) მსგავსი ტრაგედიის თავიდან აცილება არავის შეუძლია.
დ) შვილებმა მამების ბედი უნდა გაიზიარონ.

(1) **18. *რა* სიმბოლური დატვირთვა აქვს ამ ნაწარმოებში მატადორის მხატვრულ სახეს?**
ა) მატადორების მსგავსად პოეტებიც სამარადისოდ რჩებიან ერის ხსოვნაში.
ბ) მატადორების მსგავსად პოეტებიც უგუნური ძალის მსხვერპლნი ხდებიან ხოლმე.
გ) მატადორების მსგავსად პოეტებიც ფაშისტური რეჟიმის მსხვერპლნი ხდებიან ხოლმე.
დ) მატადორების მსგავსად პოეტებიც ხშირად სხვის დასანახავად კვდებიან ხოლმე.

(1) **19. *რა* არის ამ ნაწარმოების უმთავრესი აზრი?**
ა) მუდამ უნდა ვიგლოვოთ დაღუპული პოეტები და მატადორები.
ბ) პოეტებისა და ჯალათების სახელები რჩება ხალხის ხსოვნაში.
გ) პოეტების ცხოვრება ძალიან ჰგავს მატადორების ცხოვრებას.
დ) ჯალათებს ხალხი არასოდეს აპატიებს ჩადენილ ცოდვებს.

ბ) წერითი დავალება:

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

<u>**ნაწერი არ გასწორდება,**</u> *თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.*

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ <u>თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს</u> და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). <u>გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული</u>.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ტესტში დატოვებულია ფურცლები შავი სამუშაოსათვის, რომელიც <u>არ სწორდება</u> (სურვილის მიხედვით, შეგიძლიათ გამოიყენოთ ან არ გამოიყენოთ ისინი).

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა 25.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ, რა მორალურ-ეთიკურ პრობლემებს სვამს ავტორი მოცემულ ტექსტში.
- იმსჯელეთ, რა არის მოცემული ტექსტის მთავარი სათქმელი და რა მხატვრული საშუალებებითაა იგი რეალიზებული.
- ჩამოაყალიბეთ თქვენი პიროვნული დამოკიდებულება მოცემულ ტექსტში წამოჭრილი პრობლემების მიმართ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დავალება № 2

ჯემალ ქარჩხაძის რომანის „ზებულონი“ მთავარმა პერსონაჟმა, ზებულონმა, გაიტაცა ნესტან ერისთავი – ქართლის უკანონო მეფის, ისკანდერ-ხანის, საცოლე. გაქცეულთა შეპყრობას ხელმძღვანელობს ნესტანის დეიდაშვილი ბექა ამილახვარი:

ზებულონი და ნესტანი საყდრის კარს თამამად მიადგნენ, შეაღეს და შევიდნენ.

შორეულ კუთხეში, დაბალ, სამფეხა სკამზე, იდაყვდაყრდნობილი და ხელებში თავჩარგული, მჭმუნვარე სახით იჯდა ბექა ამილახვარი.

– მადლი უფალს, მოხვედით, – წყნარად, თავაუღებლივ თქვა მან.

ელდანაცემმა ზებულონმა ხმალზე გაიკრა ხელი. გულ-გვამი უდუღდა. სიმწრის, რისხვისა და ტკივილისაგან თვალზე ბინდი გადაეკრა...

– ჩააგე ხმალი, – ისევ ისე თავაუღებლივ, წყნარად, ცოტა ნაღვლიანი კილოთი თქვა ბექა ამილახვარმა...

ბექა ამილახვრის ხმაში ზებულონისთვის გაუგებარი რაღაც სიმწარეც ერია. ამან ზებულონი წამით დააბნია. ნესტანმა ბექა ამილახვარს ჯიქურ შეხედა და უთხრა:

– რათა გვდევ, ბექავ? ერთგულება გინდა აჩვენო შენს ბატონს, ქართლის მეფეს?

ბექა ამილახვარმა ნელა მიაბრუნა თავი და ნესტანს შეხედა. სახეზე წუხილი ეფინა.

– ჭინკების მზეთუნახავო, – სევდიანი ხმით თქვა, – ჩემი ბატონი ქართლია და არა ქართლის მეფე. – და უცებ ხმას აუწია, – რად გამოიქეცით?!

– იმად, რომ ისკანდერ-ხანის ცოლობა არ მინდა.

– მაშ, რა გინდა? იქნებ ეგ დათვი გირჩევნია მეფეს?

ზებულონმა ტუჩი მოიკვნიტა. ნესტანმა წყნარად თქვა: – იქნებ მირჩევნია...

ბექა ამილახვარი ნესტანს მდუმარედ დააცქერდა:

– ვხედავ, – თქვა ბოლოს და თავი მძიმედ დაიქნია. ხმაც უფრო ნაღვლიანი გაუხდა, – ვხედავ... მაგრამ ახლა ერთიმეორის სადევნელად არა გვცალია. ახლა ყველამ ის უნდა ვქნათ, რასაც ქვეყანა გვიბრძანებს, და არა ის, რასაც გული გვეტყვის.

– მაშ, ქვეყნის ბრძანებით უღალატე მანუჩარ ბატონიშვილს? – მიახალა ზებულონმა.

ბექა ამილახვარმა სწრაფი მზერა სტყორცნა. თვალებში რისხვა გაუკრთა.

– ენა დაიმოკლე, შე ღლავო, ემანდ მოთმინების ფიალა არ ამევსოს... გულზე გასხია თვალები. გონებაზე უნდა გესხას... ჩააგე ეგ ხმალი ქარქაშში და ორთავემ ყური კარგად მიგდეთ. – ბექა ამილახვარი გაჩუმდა და ერთხანს ჩუმად იჯდა. მერე, როცა ზებულონმა, გაკვირვებულმა და თითქოს რაღაცით მოჯადოებულმა, მართლა ჩააგო ხმალი, თავი გადაიქნია და განაგრძო... – სხვა უკეთეს დროს ეგებ თავად მიგგზავნოდი, ბაყბაყ-დევო, პაპა იესესთან და, თუ აზნაურობის გამო დაგიწუნებდა, მანუჩარ ბატონიშვილისთვის თავადობაც გამომეთხოვა შენთვის. ახლა კი მეტი გზა არა გვაქვს... რა ვქნა, ჭინკების მზეთუნახავო, რომ ისკანდერ-ხანს ქართლს შენი გულისთვისაც კი ვერ ავაოხრებინებ.

– მაშ, ქვეყნისთვის არ გიღალატნია, ბატონო? – ყრუ ხმით ჰკითხა ზებულონმა...

– ისკანდერ-ხანს მე მანუჩარ ბატონიშვილის ბრძანებით გამოვყევ. როცა შაჰის მზაკვრობა შევიტყვეთ, ყოველივე ავწონ-დავწონეთ და ჩათრევას ჩაყოლა ვამჯობინეთ. მანუჩარ ბატონიშვილმა ქართლის ტახტზე თავისივე ნებით თქვა უარი, ჩემი თავი ისკანდერ-ხანს უბოძა და წიგნიც გამოატანა მეფის დარბაზისათვის. ყველას უბრძანა, ერთგულება გამოეცხადებინათ და დამორჩილებოდნენ...

– რათა, ბატონო?! – აღელვებით, მხურვალედ შესძახა ზებულონმა, – განა რა გვჭირდა!.. განა ვერ გავუმკლავდებოდით!..

– ვერ გავუმკლავდებოდით. და ზოგჯერ გამკლავებაზე მეტად გადარჩენაა საჭირო. ქართლი განა მიწაა! ქართლი ხალხია. ხალხი თუ აღარ იქნა, ცარიელ მიწას ხვალ ეგებ სპარსეთიც დაერქვას. ახლა მორჩილებაა საჭირო. როდემდე – არ ვიცი. ეგებ ერთი წელი, ეგებ ათი წელი,

ეგებ მანუჩარ ბატონიშვილი ვერც ვერასოდეს ედირსოს ქართლის ტახტს... მაგრამ ახლა მორჩილებაა საჭირო. აქ რომ ისკანდერ-ხანს ერთი ბუზი ავუფრინოთ, ქართლი ხომ აოხრდება და მანუჩარ ბატონიშვილსაც შაჰი წამსვე სიცოცხლეს გამოასალმებს. დიდი სიბრძნეც გვმართებს და დიდი მოთმინებაც... დრომდე და ვადამდე ქვეყნად სიწყნარე უნდა შევინარჩუნოთ და ისკანდერ-ხანს სისხლის დაღვრის მიზეზი არ მივცეთ. თქვენ კი ასეთ დროს აღმა-დაღმა დამარბენინებთ, ლამის ქანცი გამწყდეს! მსუქანი მაინც არ ვიყო!.. ეეჰ, კვიცებო, კვიცებო, ნუთუ არ იცით, კაცი რომ იბადება, მარტო საკუთარი თავისთვის არ იბადება. მებრალებით, განა არ მებრალებით, მაგრამ თქვენზე მეტად ჩემი თავი მებრალება. თქვენ რა იცით... ისკანდერ-ხანს რომ ჩამოვყევ სპარსეთიდან, მოლაღურების დედოფალო, და ასმათმა მნახა, მაჩაბლიანთ ტურფა ხეკაკუნამ, ისე ლამაზად აიბზუა ცხვირი და ისე ამპარტავნულად მაქცია ზურგი, ერთ სამეფოდ მარტო მისი ნახვა ღირდა. მანამ თუ ყელამდე ვიყავი ჩაფლული სიყვარულში, მას აქეთ სულ მთლად ჩაყურყუმალებული ვარ. ერთი ამრეზით შემომხედა, ცივად შეტრიალდა და ამაყად გაკუნკულდა. იმიტომ, რომ მის თვალში მოღალატე ვარ. ვინ იცის, ხვალ-ზეგ ეგებ სხვაზეც გათხოვდეს... ეჰა, შვილოსა... ამ ზაქს რომ სულ ხმალზე უჭირავს თვალი, – ხელი ზებულონისკენ გამოიშვირა, – ხმლის ტრიალი იოლი საქმეა, ან გაიმარჯვებ, ან დაიღუპები. მოფურთხებით არავინ მოგაფურთხებს. მე რა ვქნა, ჩემო კუდმაკრატელებო? იქნებ მე ისე მოვკვდე, მთელ ქართლს საწყევრად დავრჩე, როგორც ქვეყნის ორგული. თქვენ ბევრიც იძახოთ, ერთგული იყო, ორგული არ ყოფილაო, ვინ დაგიჯერებთ! მაგრამ რა ვუყო, ქვეყანას ეგრე უბრძანებია და მეც დავმორჩილდი... ახლა ჯერი თქვენზედაა... – ბექა ამილახვარი გაჩუმდა და თვალებგაშტერებული ჩაიცქერდა იატაკს... მერე, როგორც იქნა, განაგრძო, – მორჩა. ყველაფერი გითხარით, რაც უნდა მეთქვა და რაც არ უნდა მეთქვა... გზები შეკრულია, მაგრამ ერთი ბილიკი ჩემთვისაც მაქვს დატოვებული. საიმედო ხალხიც მყავს, რომ სამშვიდობოს გაგიყვანოთ. ოღონდ, განრისხებული ისკანდერ-ხანი რას ჩაიდენს ქართლში, ამის წინასწარმეტყველება მე არ შემიძლიან. – აქ ნესტანს შეხედა სახეში და ნაღვლიანად გაიღიმა, – მაშ, შენ გადაწყვიტე, ჩემო მოლაღურო.

ნესტანს სახე დაძაბული ჰქონდა... თვალებში ცრემლი უბრწყინავდა...

– ახლავ წავიდეთ, ბექავ?

– ახლავ, – მიუგო ბექამ. ცოტა მასაც უმტყუნა ხმამ, – დრო არ ითმენს. – ამ სიტყვებით ზებულონს მიუახლოვდა... – შენ აქ დარჩები... როცა საჭირო იქნება, ჩემი კაცი მოგაკითხავს. – აქ გაჩუმდა. მერე გაიღიმა, – თუ შეძლებ, ცხოვრება ჩემსავით თამაშად აქციო, წუთისოფლის ოღრო-ჩოღროებსაც უფრო იოლად გადაივლი, თუ არადა, შენ იცი. ხმალი კი, ფიქრი არაა, კიდევ გამოგადგება... – და ნესტანს მიუბრუნდა, – მე ცხენებს მოვამზადებ. ნუ დააგვიანებ, – ამ სიტყვებით შეტრიალდა და სწრაფად გავიდა.

საყდარში დუმილი დარჩა... ახლა ისინი თვალებში უყურებდნენ ერთმანეთს და ნესტანმა უეცრად გაიღიმა. ძველებურად, კარგად: – ჩანს, მართალია, რომ მზეჭაბუკები მარტო ზღაპრებში ყოფილან... მაშ, მშვიდობით, ბაყბაყ-დევო.

ნესტანი შეტრიალდა და წავიდა. ნელა მიდიოდა, მაგრამ საყდრის კარამდე შორი არ იყო. გამოაღო, გავიდა და გაქრა.

თავიდან ზებულონი არაფერს გრძნობდა, მაგრამ მერე, როცა მის გაწაფულ ყურს ცხენების ფეხის ხმა შემოესმა, რომელიც თანდათან მისუსტდა და ბოლოს სულ მიწყდა, თითქოს კარი ღია დარჩენოდეს, რაც კი სადმე ნაღველი იყო, სულ მის სხეულში შემოვიდა, იქაურობა აავსო და ბოლოს, ყელში რომ ვეღარ გაეტია და გაეჩხირა, მწარედ, ბალღივით აქვითინდა.

ა) წაკითხულის გააზრება:

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X.**

უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

(1) **10.** ***რატომ*** **გაიკრა** „ელდანაცემმა ზებულონმა ხმალზე ხელი“?

ა) ზებულონს „გულ-გვამი უდუღდა... თვალზე ბინდი გადაეკრა“.

ბ) ზებულონს ბექას მოკვლის დაუძლეველი სურვილი ადრევე ჰქონდა.

გ) ზებულონისათვის მოულოდნელი იყო ბექას დახვედრა საყდარში.

დ) ზებულონს სურდა, ნესტანისათვის თავისი გამბედაობა ეჩვენებინა.

(1) **11. *რა* განაპირობებს იმას, რომ ბექას სიტყვებში** „ნაღვლიანი კილო“ **იგრძნობა?**
ა) ბექა დაღლილია და ამიტომ ლაპარაკობს „ნაღვლიანი კილოთი“.
ბ) ბექა შინაგანად თანაუგრძნობს ნესტანისა და ზებულონის სიყვარულს.
გ) ბექა მიიჩნევს, რომ ერთმანეთის დევნის დრო არ არის.
დ) ბექას სურს, ნესტანისა და ზებულონის ყურადღება მოადუნოს.

(1) **12. ნესტანისადმი *რა* დამოკიდებულებაზე მიუთითებს ბექას მიმართვა:** „ჭინკების მზეთუნახავო“?
ა) ბექა აბუჩად იგდებს ნესტანს.
ბ) ბექა გამოხატავს ნესტანისადმი სიყვარულს.
გ) ბექა გამოხატავს ნესტანისადმი სიძულვილს.
დ) ბექას სურს ნესტანის დაჩაგვრა.

(1) **13. ბექას ხასიათის *რა* თვისება ჩანს მის სიტყვებში:** „ისკანდერ-ხანს ქართლს შენი გულისთვისაც კი ვერ ავაოხრებინებ“?
ა) ბექასათვის ყველა ღირებულებაზე მაღლა პირადი ინტერესი დგას.
ბ) ბექასათვის ყველა ღირებულებაზე მაღლა სამშობლოს ინტერესი დგას.
გ) ბექასათვის ყველა ღირებულებაზე მაღლა მეფისადმი ერთგულება დგას.
დ) ბექასათვის ყველა ღირებულებაზე მაღლა ნათესავის ბედნიერება დგას.

(1) **14. *რაში* გამოიხატება სპარსეთის შაჰის მზაკვრობა?**
ა) მან ქართლის აოხრება და დამონება გადაწყვიტა.
ბ) მან მანუჩარ ბატონიშვილი ფიზიკურად დასაჯა.
გ) მან ქართლის ტახტზე უკანონო მეფე დასვა.
დ) მან ბექას ქართლის ღალატი დაავალა.

(1) **15. *რატომ* ამჯობინა ბექა ამილახვარმა** „ჩათრევას ჩაყოლა“?
ა) სურდა, ამით მანუჩარ ბატონიშვილის გული მოეგო.
ბ) სურდა, ამით ქართლის ინტერესები დაეცვა.
გ) სურდა, ამით სპარსეთის ინტერესები დაეცვა.
დ) სურდა, ამით საყვარელი ქალის გული მოეგო.

(1) **16. *რის* თქმა სურს ზებულონს სიტყვებით:** „განა ვერ გავუმკლავდებოდით...“?
ა) ზებულონი მიიჩნევს, რომ საჭიროა მტრის წინააღმდეგ დიპლომატიური ხერხების გამოყენება.
ბ) ზებულონი მიიჩნევს, რომ საჭიროა მტრის წინააღმდეგ აშკარა და შეუპოვარი ბრძოლა.
გ) ზებულონი მიიჩნევს, რომ საჭიროა მტერთან საბრძოლველად მორიგე ლაშქრის შეკრება.
დ) ზებულონი მიიჩნევს, რომ საჭიროა ტაქტიკური მოსაზრებით ბრძოლის გადადება.

(1) **17. *რომელ* ციტატაშია გამოყენებული ეპითეტი?**
ა) „ამპარტავნულად მაქცია ზურგი“.
ბ) „რა ვქნა, ჩემო კუდმაკრატელებო?“
გ) „თვალებგაშტერებული ჩააცქერდა იატაკს“.
დ) „ხმლის ტრიალი იოლი საქმეა“.

(1) **18. ნესტანის *რა* სულიერი მდგომარეობა ჩანს მის სიტყვებში:** „მზეჭაბუკები მარტო ზღაპრებში ყოფილან“?
ა) აღშფოთება.
ბ) იმედგაცრუება.
გ) გულგრილობა.
დ) შეშფოთება.

(1) **19. *რა* არის მოცემული ტექსტის უმთავრესი აზრი?**
ა) ადამიანი საქვეყნო ინტერესებს გონების კარნახით უნდა ემსახუროს.
ბ) ადამიანმა პირადი და საქვეყნო ინტერესების შეხამება უნდა შეძლოს.
გ) ადამიანმა საქვეყნო ინტერესებს სიცოცხლე უნდა ანაცვალოს.
დ) ადამიანმა პირად ინტერესებს საქვეყნო ინტერესები უნდა ანაცვალოს.

ბ) წერითი დავალება:

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

<u>ნაწერი არ გასწორდება</u>, *თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.*

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ <u>თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს</u> და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). <u>გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული</u>.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ტესტში დატოვებულია ფურცლები შავი სამუშაოსათვის, რომელიც <u>არ სწორდება</u> (სურვილის მიხედვით, შეგიძლიათ გამოიყენოთ ან არ გამოიყენოთ ისინი).

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა 25.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ, რა მორალურ-ეთიკურ პრობლემებს სვამს ავტორი მოცემულ ტექსტში.
- იმსჯელეთ, რა არის მოცემული ტექსტის მთავარი სათქმელი და რა მხატვრული საშუალებებითაა იგი რეალიზებული.
- ჩამოაყალიბეთ თქვენი პიროვნული დამოკიდებულება მოცემულ ტექსტში წამოჭრილი პრობლემების მიმართ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

II ვარიანტი

I. ქართული ენა

1. 1. – ბ); 2. – თ); 3. – ვ); 4. – გ).
2. I შეცდ. 2, 4, 6, 7; II უშეცდ. 1, 3, 5.

3. ალექსანდრეს ბაღის ტერიტორიაზე დიდი ხნის განმავლობაში ყაბახი იყო. მე-19 საუკუნის 40-იან წლებში აქ სამხედრო ობიექტი განათავსეს, მოგვიანებით კი ამ ადგილას ბაღის გაშენება გადაწყდა.

1865 წელს თბილისში საზეიმოდ გაიხსნა პირველი საზოგადოებრივი ბაღი, რომელსაც ალექსანდრეს სახელი უწოდეს. ბაღი გაშენდა არქიტექტორ ოტო სიმონსონის პროექტით. სიმონსონი პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის აკადემიკოსი იყო. მისი დაპროექტებულია არაერთი შენობა, რომლებიც დღესაც დგას და ამშვენებს ჩვენს დედაქალაქს. მარტო მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დასახელებაც საკმარისია, რათა მისი დამსახურება წარმოვაჩი-ნოთ. საგანგებოდ ბაღისათვის დაპროექტებული საგამოფენო პავილიონები, რესტორანი, შადრევნები განსაკუთრებულ ელფერს სძენდა მას. ის, როგორც ევროპული ყაიდის ბაღი, რეგულარული დაგეგმარებისა იყო და მანამდე არსებულ თავშეყრის ადგილებს არ ჰგავდა.

4.

I. კრიტერიუმი

№	ტექსტის ორგანიზება	*ქულები*
1.	ტექსტი ორგანიზებულია და პასუხი გაცემულია სამივე მითითებაზე.	3
2.	ტექსტი ორგანიზებულია და პასუხი გაცემულია ორ მითითებაზე ან პასუხი გაცემულია სამივე მითითებაზე, მაგრამ ტექსტი არ არის სათანადოდ ორგანიზებული.	2
3.	ტექსტი ორგანიზებულია, მაგრამ პასუხი გაცემულია მხოლოდ ერთ მითითებაზე ან პასუხი გაცემულია ორ მითითებაზე, მაგრამ ტექსტი არ არის სათანადოდ ორგანიზებული და/ან დავალება ნაწილობრივ არაადეკვატურადაა გაგებული.	1
4.	ტექსტი არ არის სათანადოდ ორგანიზებული და პასუხი გაცემულია მხოლოდ ერთ მითითებაზე ან დავალება არაადეკვატურადაა გაგებული.	0 ნაწერი არ სწორდება

II. კრიტერიუმი

№	დასაბუთება	*ქულები*
1.	***დამაჯერებლადაა*** დასაბუთებული სამივე მითითება და ***გამყარებულია*** შე-საბამისი მაგალითებით.	4
2.	***დამაჯერებლადაა*** დასაბუთებული ორი მითითება და მესამე – ნაწილობრივ.	3
3.	***დამაჯერებლადაა*** დასაბუთებული ერთი მითითება და ორი – ნაწილობრივ.	2
4.	ნაწილობრივ არის დასაბუთებული სამივე მითითება ან ***დამაჯერებლადაა*** დასაბუთებული ორი მითითება, მაგრამ ერთი მითითება არ არის დასაბუთებული.	1
5.	ნაწილობრივ არის დასაბუთებული მხოლოდ ორი მითითება და მესამე არ არის დასაბუთებული ან დასაბუთებულია მხოლოდ ერთი მითითება, დანარჩენი ორი არ არის დასაბუთებული.	0

III. კრიტერიუმი

№	ორიგინალური აზროვნება და ზოგადი განათლება	*ქულები*
1.	ნაშრომში გამოვლინდა ორიგინალური აზროვნება და/ან ზოგადი განათ-ლება.	1
2.	ნაშრომში არ გამოვლინდა ორიგინალური აზროვნება და/ან ზოგადი განათლება.	0

IV. კრიტერიუმი

№	ლექსიკა და სტილი	*ქულები*
1.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი, დაცულია ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება. გვხვდება ორიოდე სტილისტური ხარვეზი.	3
2.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, მაგრამ გვხვდება სტილისტური ხარვეზები.	2
3.	ნაშრომში აზრი გასაგებია, მაგრამ ლექსიკა მწირია, გვხვდება არაადეკვატური ლექსიკა და სტილისტური ხარვეზები.	1
4.	ნაშრომი სტილისტურად გაუმართავია.	0

V. კრიტერიუმი

№	მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი	*ქულები*
1.	არ არის დაშვებული ორზე მეტი შეცდომა.	3
2.	არ არის დაშვებული ოთხზე მეტი შეცდომა.	2
3.	არ არის დაშვებული ექვსზე მეტი შეცდომა.	1
4.	დაშვებულია ექვსზე მეტი შეცდომა.	0

VI. კრიტერიუმი

№	პუნქტუაცია	*ქულები*
1.	არ არის დაშვებული სამზე მეტი შეცდომა.	1
2.	დაშვებულია სამზე მეტი შეცდომა.	0

II. ქართული ლიტერატურა

5. გრიგოლმა ეფრემს მოსთხოვა, არ შეეშალა ხელი არსენის კათალიკოსობისათვის. ეფრემის აზრით, არსენი არ იყო მართალი (ის არსენს თავის მოძღვრად აღარ თვლიდა). გრიგოლის ემოციურ რეაქციას გამოხატავს სიტყვა „მკსინვარედ“. გრიგოლმა გააფრთხილა ეფრემი, ამას თუ გააკეთებ, შენს მოძღვრად ნუღარ მიგულებო. გრიგოლის აზრით, ეფრემმა უნდა იცოდეს, რომ არსენის კათალიკოსობა ღვთის ნებაა.

1. არსენისათვის მხარი დაეჭირა ——————————————————————————————————*1ქ.*
2. ეპისკოპოსები მართლები იყვნენ ——————————————————————————————*1.ქ.*
3. მკსინვარედ ——*1.ქ.*
4. შენი მოძღვარი აღარ ვიქნებიო ——————————————————————————————*1ქ.*
5. არსენის კათალიკოსობა ღვთის ნებაა ——————————————————————————*1ქ.*

6. „ტანი კალმად მაქვს, კალამი ნავღელსა ამონაწები“. ნესტანის თქმით, იგი თავის უსტარს ქაღალდის ნაცვლად საკუთარ გულზე წერს. ტარიელისა და საკუთარ უბედურებას ნესტანი ამქვეყნიურ სინამდვილეს აბრალებს. იმის საფუძველზე, რომ ბრძენნი ამქვეყნიურობას კარგად იცნობენ. ნესტანის მდგომარეობის ტრაგიზმს განაპირობებს მიჯნურთან განშორება.

1. „ტანი კალმად მაქვს, კალამი ნავღელსა ამონაწები“ ——————————————*1ქ.*
2. გულზე ——*1ქ.*
3. წუთისოფელს ——————————————————————————————————————*1ქ.*
4. ცოდნის ——*1ქ.*
5. ტარიელის გარეშე ყოფნა ——————————————————————————————————*1ქ.*

7. ლუარსაბისა და მისი მსგავსი ადამიანების უზნეო ცხოვრება იგულისხმება სიტყვებში: „არისხებდნენ ღმერთსა“. ლუარსაბი ასე იმიტომ მიიჩნევს, რომ კაცი არ მოუკლავს, არ მოუპარავს და არავინ დაუჩაგრავს. ავტორის აზრით, ადამიანის დანიშნულებაა მიემსგავსოს ღმერთს (ეზიაროს ღვთაებრივს). სიტყვაში „სრული“ იგულისხმება სულიერი სრულყოფილება. ლუარსაბის ცხოვრების ძირითადი მიზანი ჭამა-სმაა.

1. „არისხებდნენ ღმერთსა“ ——————————————————————————————————*1ქ.*
2. ცოდვა არ ჩაუდენია ——————————————————————————————————*1ქ.*
3. ღვთისკენ ისწრაფვოდეს ——————————————————————————————*1ქ.*
4. მიემსგავსოს ღმერთს ——————————————————————————————————*1ქ.*
5. ჭამა-სმა ——*1ქ.*

8. მინდიამ ბუნების ენა ისწავლა (მას ბუნების ყოველი მოვლენის ენა ესმოდა). ქაჯთა სიბრძნესთან ზიარებამ მინდიას შინაგანი კეთილშობილება ვერ შეცვალა. მინდია, სიბრძნის შეძენის გარდა, უშიშარიც გახდა. მინდიას მიმართ ქაჯთა აგდებული დამოკიდებულება ვლინდება სტრიქონში: „გამეცნიერდა გლეხია“. მინდიას ქაჯთა ტყვეობიდან თავის დაღწევის იმედი გაუჩნდა.

1. ბუნების ენა გაიგო ——————————————————————————————————*1ქ.*
2. სიკეთე ——*1ქ.*
3. ვაჟკაცობა (სიმამაცე) ——————————————————————————————*1ქ.*
4. გამეცნიერდა გლეხია ——————————————————————————————*1ქ.*
5. გაექცეოდა ქაჯებს ——————————————————————————————————*1ქ.*

9. ლირიკული გმირი გრძნობს, რომ დაღუპვა ელის. „და ისიც ვიცი, ჩემზე ახია“. სტრიქონში „ან თავის მოკვლა რა ტრაბახია“ ჩანს, რომ ლირიკული გმირი თავის მოკვლას აპირებს. მეხუთე სტრიქონში გამოყენებულია შედარება. ამ მონაკვეთში ჩანს სატრფოს უნდობლობა.

1. მალე დაიღუპება ——————————————————————————————————*1ქ.*
2. „და ისიც ვიცი, ჩემზე ახია“ ——————————————————————————*1ქ.*
3. თვითმკვლელობა ——————————————————————————————————*1ქ.*
4. შედარება ——————————————————————————————————————*1ქ.*
5. დაეჭვება ——————————————————————————————————————*1ქ.*

III. წაკითხულის გააზრება

10. *გ)* ----------*1ქ.* **11.** *ბ)* ----------*1ქ.* **12.** *ბ)* ----------*1ქ.* **13.** *ბ)* ----------*1ქ.* **14.** *გ)* ----------*1ქ.*
15. *ბ)* ----------*1ქ.* **16.** *ბ)* ----------*1ქ.* **17.** *ბ)* ----------*1ქ.* **18.** *ბ)* ----------*1ქ.* **19.** *დ)* ----------*1ქ.*

წერითი დავალების შეფასების კრიტერიუმები

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა **25.** უპირველეს ყოვლისა, გამსწორებელმა უნდა განსაზღვროს, ***უპასუხებს თუ არა ნაწერი მოცემულ დავალებას***.

თუ აბიტურიენტის ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება, ან ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს, ***დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება***.

თუ ნამუშევარი დავალებას უპასუხებს, იგი უნდა გასწორდეს ქვემოთ მოცემული შეფასების სქემის მიხედვით.

№	*კრიტერიუმები*	*კრიტერიუმების განმარტება*	*მაქსიმალური ქულა*
I	დავალების ადეკვატურად გაგება და გააზრება	აბიტურიენტს მოეთხოვება დავალების ადეკვატური გაგება და ტექსტის სიღრმისეული გააზრება.	**4**
II	ნაშრომის აგება	აბიტურიენტს მოეთხოვება დავალების პირობის სამივე მითითების შესრულება, მსჯელობის თანამიმდევრულობის დაცვა, აბზაცების გამოყოფა და ნაშრომის მონაკვეთების ლოგიკური დაკავშირება ერთმანეთთან.	**3**
III	მოსაზრებების არგუმენტირება და ადეკვატური ციტირება	აბიტურიენტს მოეთხოვება მსჯელობის დასაბუთება და არგუმენტების გამყარება სათანადო ტექსტური მასალით.	**6**
IV	ტექსტის მხატვრული თავისებურებების შეფასება	ნაშრომში უნდა გამოიყოს ტექსტის მხატვრული თავისებურებები და მსჯელობა უნდა დასაბუთდეს სათანადო მაგალითებით.	**2**
V	დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება	ნაშრომში უნდა გამოვლინდეს აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნება, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, ზოგადი განათლება.	**3**
VI	ფაქტობრივი შეცდომები	ნაშრომში არ უნდა იყოს დაშვებული ფაქტობრივი შეცდომები.	**1**
VII	ლექსიკა და სტილი	აბიტურიენტს მოეთხოვება აზრის ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდ გამოხატვა, აგრეთვე ისიც, რომ ნაწერი სტილისტურად გამართული იყოს.	**2**
VIII	სინტაქსი	აბიტურიენტს მოეთხოვება სინტაქსური კონსტრუქციების სწორად აგება.	**2**
IX	მორფოლოგია, ორთოგრაფია და პუნქტუაცია	აბიტურიენტს მოეთხოვება სალიტერატურო ენის ნორმების (მორფოლოგია, ორთოგრაფია, პუნქტუაცია) დაცვა.	**2**

I კრიტერიუმი

№	*დავალების ადეკვატურად გაგება და გააზრება*	*ქულები*
1.	დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებული, ტექსტი ღრმადაა გააზრებული, ნაშრომში იგრძნობა ავტორის უმთავრესი სათქმელისა და ემოციური მიზანდასახულობის წვდომა.	4
2.	დავალების პირობა და ტექსტი ადეკვატურადაა გაგებული.	3
3.	დავალების პირობა და ტექსტი მთლიანობაში ადეკვატურადაა გაგებული და გააზრებული, თუმცა ***ერთ*** შემთხვევაში შეინიშნება დავალების პირობის ან ტექსტის არაადეკვატური გაგება.	2
4.	***ერთზე მეტ*** შემთხვევაში დავალების პირობა ან/და ტექსტი არაადეკვატურადაა გაგებული.	1
5.	ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული.	0 ნაწერი აღარ სწორდება

II კრიტერიუმი

№	*ნაშრომის აგება*	*ქულები*
1.	ნაშრომი უპასუხებს ***სამივე*** მითითებას და კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი. *დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.*	3
2.	ნაშრომი უპასუხებს ***სამ*** მითითებას, თუმცა ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი; ან ნაშრომი უპასუხებს ***ორ*** მითითებას და კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი.	2
3.	ნაშრომი უპასუხებს ***ორ*** მითითებას, თუმცა ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი; ან ნაშრომი უპასუხებს ***ერთ*** მითითებას და კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი.	1
4.	ნაშრომი უპასუხებს ***ერთ*** მითითებას, თუმცა ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი.	0

III კრიტერიუმი

№	*მოსაზრებების არგუმენტირება და ადეკვატური ციტირება*	*ქულები*
1.	მსჯელობა ***სამივე*** მითითების მიხედვით დასაბუთებულია (არგუმენტირებულია) და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით.	**6**
2.	მსჯელობა ***ორი*** მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო ***მესამე*** მითითებაზე მსჯელობისას არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.	**5**
3.	მსჯელობა ***ორი*** მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო ***მესამე*** მითითება საერთოდ არ არის შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდე წინადადებითაა გადმოცემული).	**4**
4.	მსჯელობა ***ერთი*** მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო ***ორ*** მითითებაზე მსჯელობისას არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.	**3**
5.	მსჯელობა ***ერთი*** მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ***მეორე*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო ***მესამე*** მითითება საერთოდ არ არის შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდე წინადადებითაა გადმოცემული).	**2**
6.	***სამივე*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.	**1**
7.	***ორი*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო ***მესამე*** მითითება საერთოდ არ არის შესრულებული; ან მსჯელობა ***ერთი*** მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ არ არის შესრულებული; ანდა ***ერთი*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ არ არის შესრულებული.	**0**

IV კრიტერიუმი

№	*ტექსტის მხატვრული თავისებურებების შეფასება*	*ქულები*
1.	ნაშრომში ***გამოყოფილია*** ტექსტის ***არაერთი*** მხატვრული თავისებურება და მსჯელობა დასაბუთებულია კონკრეტული მაგალითებით.	**2**
2.	ნაშრომში ***გამოყოფილია*** ტექსტის ***ერთი*** მხატვრული თავისებურება და მსჯელობა დასაბუთებულია კონკრეტული მაგალითით.	**1**
3.	ნაშრომში ***გამოყოფილია*** ტექსტის მხატვრული თავისებურებები, მაგრამ არ არის დასაბუთებული კონკრეტული მაგალითებით; ანდა ნაშრომში არ არის ***გამოყოფილი*** ტექსტის მხატვრული თავისებურებები.	**0**

V კრიტერიუმი

№	*დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება*	*ქულები*
1.	ნაშრომში ***მკაფიოდ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა და ზოგადი განათლება.	**3**
2.	ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა ***მკაფიოდ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში ***მკაფიოდ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, თუმცა ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	**2**
3.	ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლებაც და დამოუკიდებელი აზროვნების უნარიც; ან ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, მაგრამ ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	**1**
4.	ნაშრომში ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, აგრეთვე ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	**0**

VI კრიტერიუმი

№	*ფაქტობრივი შეცდომები*	*ქულები*
1.	ნაშრომში ***არ არის*** დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა.	**1**
2.	ნაშრომში ***დაშვებულია*** ფაქტობრივი შეცდომა.	**0**

VII კრიტერიუმი

№	*ლექსიკა და სტილი*	*ქულები*
1.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი, აგრეთვე დაცულია ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება, გვხვდება ორიოდე სტილისტური ხარვეზი.	**2**
2.	ნაშრომში აზრი გასაგებია, მაგრამ ლექსიკა მწირია, გვხვდება რამდენიმე სტილისტური ხარვეზი.	**1**
3.	თხზულება სტილისტურად გაუმართავია.	**0**

VIII კრიტერიუმი

№	*სინტაქსური კონსტრუქციები*	*ქულები*
1.	ნაშრომში დაშვებულია ***ერთი*** სინტაქსური შეცდომა.	**2**
2.	ნაშრომში დაშვებულია ***ორი*** სინტაქსური შეცდომა.	**1**
3.	ნაშრომში დაშვებულია ***ორზე მეტი*** სინტაქსური შეცდომა.	**0**

IX კრიტერიუმი

№	*მორფოლოგია, ორთოგრაფია და პუნქტუაცია*	*ქულები*
1.	არ არის ***ოთხზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	**2**
2.	არ არის ***ცხრაზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	**1**
3.	დაშვებულია ***ცხრაზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	**0**